unitedtelecom
გაერთიანებული ტელეკომი

ბ ო ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი

ავტორიზებულ პირთა მიერ „გაერთიანებული ტელეკომის“ კუთვნილ ტერიტორიებზე მოწყობილობებისა და ანძების/ანტენების განთავსების ტარიფებში ცვლილებების შეტანის შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „გაერთიანებული ტელეკომის“ შენობებში აპარატურული კარადის, აპარატურის ან სხვა ნებისმიერი ტიპის მოწყობილობის განთავსების ტარიფი განისაზღვროს შემდეგი სქემით:

- განთავსების ერთჯერადი ღირებულება ნებისმიერი ზომის მოწყობილობისთვის - 2360 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

- ერთი თვის განმავლობაში „გაერთიანებული ტელეკომის" კუთვნილ ფართზე ისეთი მოწყობილობის განთავსება, რომლის არცერთი განზომილება (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე) არ აღემატება 1 მეტრს – 600 ლარი თვეში დღგ-ს ჩათვლით.

- „გაერთიანებული ტელეკომის" კუთვნილ ფართზე ისეთი მოწყობილობის განთავსება, რომლის ერთ-ერთი განზომილება (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე) აღემატება 1 მეტრს – 600-ს მიმატებული 300 ლარი დღგ-ს ჩათვლით თვეში ნებისმიერ განზომილებაზე დამატებული თითოეული მეტრისთვის.

2. ანტენებისა და ანძების განთავსების ტარიფი „გაერთიანებული ტელეკომის“ კუთვნილ ტერიტორიებზე განისაზღვროს შემდეგი სქემით:

- ერთი ანტენის განთავსების ერთჯერადი ღირებულება - 4360 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

30 09 2008 წ.

№ 01/137-09

- ერთი თვის განმავლობაში „გაერთიანებული ტელეკომის“ კუთვნილ ტერიტორიებზე ერთი ანტენის განთავსება – 2360 ლარი თვეში დღგ-ს ჩათვლით.

- ერთი ანძის განთავსების ერთჯერადი ღირებულება - 10 000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

- ერთი თვის განმავლობაში „გაერთიანებული ტელეკომის“ კუთვნილ ტერიტორიებზე ერთი ანძის განთავსება – 5900 ლარი თვეში დღგ-ს ჩათვლით.

3. წინამდებარე ბრძანებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს 2008 წლის 13 მარტის 01/42[1] ბრძანება, რომლის საფუძველზეც რეგულირდებოდა „გაერთიანებული ტელეკომის“ შენობებში აპარატურული კარადებისა და „გაერთიანებული ტელეკომის“ ტერიტორიებზე ანძების/ანტენების განთავსების ტარიფები.

4. აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს გენერალური დირექტორის მოადგილეს ბატონ ი. მარტიაშვილს.

გენერალური დირექტორი ' ა. ტემირბეკოვი